

ტარიელ ფუტკარაძე

ეთნოლინგვისტური ტერმინები
და ევროპული ქარტია უმცირესობათა
ენების შესახებ

2005

ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს/ერთობას აქვს უფლება, იცოდეს თავისი წარმომავლობა. ეთნო-კულტურული წარსულის ცოდნის ხარისხი განსაზღვრავს პიროვნებისა თუ საზოგადოების ეროვნულ თვითმიკუთვნებას (იდენტობას). ობიექტური თვითაღქმა მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველია.

ISBN 99928-79-30-8

გამომცემლობა

“ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

© ტ.ფუტკარაძე

Tariel Putkaradze

**Ethnolinguistic Terms
and
European Charter for Regional or
Minority Languages**

2005

Every social group/unity has the right to know about its origin. The degree of knowledge of ethnocultural history serves to determine a person's or a community's self-identification. Objective self-perception creates foundation for peaceful coexistence.

ISBN 99928-79-30-8
Press "Kutaisi State University"
© T.Putkaradze

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობის ნაცვლად.

რეგიონალური ენა, უმცირესობის ენა და ტერიტორიის არმქონე ენა ევროპული ქარტიის მიხედვით.

ერი, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, სუბეთნოსი, თემი.

ეროვნული ენა, დედაენა, დიალექტი; უცხო ენა.

რას ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის შესახებ.

ქართველთა ენობრივი ერთეულები.

ენობრივი სიტუაცია საქართველოში (მოკლე ისტორიული ექსკურსითურთ).

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა საკითხი.
დღევანდელი საქართველოს ენობრივი სიტუაციის რამდენიმე პოლიტიკური ასპექტი.

დასკვნის ნაცვლად.

...ატომური ენერგია საშიშია დამნაშავეს ხელში, თუმცა დიდად სასარგებლოა კეთილშობილური მიზნებისთვის... საქართველოს ენობრივი სიტუაციის არაობიექტური აღწერითა და ეთნო-ლინგვისტურ ტერმინთა არასწორი განმარტებით “ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“ საქართველოს დამანგრეველ დოკუმენტად შეიძლება იქცეს.

წინასიტყვაობის ნაცვლად

სხვადასხვა იმპერიისგან მუდამ იყო მცდელობა, ხელოვნურად დაენაწევრებინათ საქართველო და ამ გზით მაინც დაეპყროთ...

დღეს უკვე ევროპული დოკუმენტების გაყალბებით ცდილობენ, აბორიგენებად გამოაცხადონ სხვადასხვა დროის მიგრანტები და ეთნიკურად დააქუცმაცონ საქართველო.

არადა, საფრთხე ნამდვილად არ მოდის ევროპისგან. მეტიც, ევროპული ქვეყნები დღეს უფრო აქტიურად ცდილობენ, შექმნან ძლიერი ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოები...

ორი ფრაგმენტი რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ “ევროპული ქარტის“ განმარტებებიდან:

XXXII განმარტება

“ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ენად გამოხატვის ესა თუ ის ფორმა“.

XVII განმარტება

“ქარტია არ განსაზღვრავს ენას არც სოციალურ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას. ამგვარად, ქარტია არ იძლევა ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებას“.

რეგიონალური ენა, უმცირესობის ენა და ტერიტორიის არმქონე ენა ევროპული ქარტიის მიხედვით

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა სტრასბურგში მიიღეს “ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“, ხოლო 1995 წლის 1 თებერვალს აქვე ხელი მოეწერა “ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტები ევროსაბჭოს წევრებისა და წევრობის მსურველთათვის წარმოადგენს სახელმძღვანელო დებულებების კრებულს ეროვნულ და ლინგვისტურ უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში;

კერძოდ, ქარტია და კონვენცია ითხოვს: სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისგან განსხვავებული ავტოქტონი, აბორიგენი ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული საზოგადოებებისათვის უმცირესობის სტატუსის მინიჭებასა და სათანადო უფლებებით აღწურვას. კონვენციისა და ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია: უმცირესობის ენაზე საქმისწარმოება და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში... იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის ი.ე. პუნქტი: სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა “ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე”.

აქვე აღვნიშნავთ, რომ: კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნულ უმცირესობად აღიარებული საზოგადოების ენა მოცემულ რეგიონში ადმინისტრაციული ორგანოების საქმისწარმოების ენად გამოცხადდება, თუკი სახელმწიფოში ტრადიციულად მცხოვრები უმცირესობები ამ რეგიონში დღესაც უმრავლესობაში არიან, ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ და, თუკი, ამავე დროს, მათ ეს სურთ (იხ. აგრეთვე 66-ე განმარტება). ქარტიასა და კონვენციას დღემდე შეუერთდა 44 ქვეყანა, რატიფიკაცია კი მოახდინა ოცდაცხრამეტმა: ბელგიის, საბერძნეთის, ისლანდიისა და ლუქსემბურგის პარლამენტებს ჯერჯერობით არ დაუდასტურებიათ მთავრობების ხელმოწერილი დოკუმენტები.

საქართველოს უკანონო მთავრობამ - ე.შევარდნაძის რეჟიმმა - დოკუმენტებს ხელი მოაწერა 2000 წელს.

“ვარდების რევოლუციის“ მესვეურთა მიერ უკანონოდ ჩათვლილი 2003 წლის ფსევდოარჩევნებით დამკვიდრებულმა “საქართველოს პარლამენტმა“ 2005 წლის 13 ოქტომბერს დაამოწმა კონვენცია; უახლოეს ხანში კი იგეგმება ქარტიის დადასტურებაც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შევარდნაძის ადმინისტრაცია 2000 წელსვე ცდილობდა ორივე დოკუმენტის რატიფიკაციას; ენის კანონის მიღებით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასაც შეეცადა. თუმცა, ქართულ საზოგადოებაში გაჩენილმა წინააღმდეგობამ და ზოგი პოლიტიკური ძალის აქტიურობამ აიძულა მაშინდელი ფაქტობრივი რეჟიმი, უარი ეთქვა თავისი გეგმის განხორციელებაზე; არადა, საფრთხე მართლაც დიდი იყო:

ქარტიისა და კონვენციის ეთნიკურ-ლინგვისტური ცნებების არაკომპეტენტური განმარტებებით შექმნილი შევარდნაძის რეჟიმის დოკუმენტები საქართველოს დაშლას აფორმებდა; კერძოდ, ტერმინების (ეროვნული უმცირესობა, ენობრივი უმცირესობა, ენა, რეგიონალური ენა, უმცირესობის ენა, დიალექტი...) ულოგიკო გააზრებით, ჩნდებოდა საშიშროება, საქართველოში დაკანონებულიყო ათამდე რეგიონალური სახელმწიფო ენა; ავტოქტონად აღიარებულიყო ამდენივე ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც, საკუთარ ენაზე საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნის გარდა, უფლება ექნებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში საქმისწარმოებაც ქართულისგან განსხვავებულ ენაზე ეწარმოებინა და ა.შ. ...დღეს გააქტიურდა ევროკავშირისკენ სწრაფვა; შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ევროსაბჭოს წარმოდგენილი დოკუმენტების მიღებაც (თუმცა, აუცილებელი არ არის; მაგ., უმცირესობების ენების ქარტიასა და ეროვნული უმცირესობების კონვენციას საფრანგეთი დღემდე არ არის მიერთებული!). ამჟამადაც, “რატომდაც“ ცდილობენ საქართველო ისევ გამოაცხადდეს მრავალეროვან და მრავალენოვან სახელმწიფოდ,

შესამაბისად, იბრძვიან, საქართველოში დააკანონდეს ათამდე ეროვნული უმცირესობა და ამდენივე სახელმწიფო ენა... ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც, ჩვენი საზოგადოების ამ ავადპოლიტიზირებულ ჯგუფს ან წაკითხული არა აქვს ქარტია და კონვენცია, ან სათანადო ტერმინთა შინაარსის შეგნებული გაყალბებით ცდილობს ანტიქართულ მონსტრად აქციოს სტრასბურგის დოკუმენტებში წარმოდგენილი კეთილშობილური მოსაზრებები. აქვე ისმის ბუნებრივი კითხვა: ტერმინთა შესაძლო განმარტებების ასპექტით, კონკრეტულად რა ინსტრუქციებს იძლევა ევროპა? ევროპულ ქარტიასა და კონვენციაში კარგადაა ჩამოყალიბებული უმცირესობათა უფლებები, მაგრამ განმარტებული არ არის ტექსტში გამოყენებული ცნებები: ეროვნული უმცირესობა, ენობრივი უმცირესობა, კულტურული უმცირესობა, ენა, დიალექტი, ენის სახესხვაობა და სხვ. სტრასბურგის დოკუმენტებზე ხელისმომწერი ქვეყნების ხელისუფლებების აზრით, ამ ცნებების/ტერმინების გააზრება და ეთნიკური უმცირესობების თუ უმცირესობათა ენების ჩამონათვალის შექმნა კონკრეტული სახელმწიფოს კომპეტენციაა, ვინაიდან დასახელებულ ტერმინთა მნიშვნელობის შესახებ ევროპაში ვერ მოხერხდა შეთანხმება მრავალწლიანი დავა-კამათის შემდეგაც კი. ამ საკითხს საგანგებოდ ეხება კონვენციის განმარტებითი მოხსენების მე-4 და მე-12 ნაწილები; მაგ., კონვენციის მე-12 განმარტებაში ვკითხულობთ:

“კონვენცია არ იძლევა ეროვნული უმცირესობის ცნების განმარტებას იმ პრაქტიკული მოსაზრების გამო, რომ მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა იმგვარი ფორმულირების შემოთავაზება, რომელსაც ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო დაუწერდა მხარს“. მსგავს აზრს გადმოსცემს ქარტიის მე-17 განმარტებაც: “ქარტია არ განსაზღვრავს ენას არც სოციალურ-პოლიტიკური თუ ეთნიკური ნიშნით, როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფის კომუნიკაციის საშუალებას; ამგვარად, ქარტია არ იძლევა ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებას“.

ეს აზრი უფრო მკვეთრად გამოთქმულია ქარტიის 32 -ე განმარტებაში: “ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ენად გამოხატვის ესა თუ ის ფორმა“. აქვე ვიტყვით, რომ არ არსებობს ენისა და კილოს გამიჯვნის უკამათო კრიტერიუმები; შდრ., მაგ., საყოველთაოდ მიღებული ენის განმარტება: ენა არის გარკვეული სემანტიკის მქონე ბგერით ნიშანთა - ენობრივ ნიშანთა - ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, ცოდნის შენახვის და კომუნიკაციის საშუალებას...

ცალკე აღებული დიალექტიც ბგერით ნიშანთა ბუნებრივად მოწესრიგებული სისტემაა; დიალექტიც წარმოადგენს სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, კომუნიკაციის საშუალებას; შესაბამისად, ენის ამ ლოგიკური დეფინიციის მიხედვით ვერ გავმიჯნავთ ენასა და კილოს (დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ქარტიისა და კონვენციის განმარტებების მიხედვით, ეს და სხვა მსგავსი ტერმინები “ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება“ (იხ. ქარტიის განმარტებების მე-18 ნაწილი). შდრ., აგრეთვე, ქარტიის 21-ე განმარტება: “ქარტიის ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ქარტიისთვის დაერთოთ რეგიონალური და უმცირესობათა ენების სიები, ვინაიდან,

ლინგვისტური თუ სხვა სახის არგუმენტების გამო, იგი უეწველად გახდებოდა ცხარე კამათისა და უთანხმოების საგანი...“

აქვეა დაზუსტებაც:

“ქარტია პრეროგატივას ანიჭებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებას, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“ (32 -ე განმარტება).

მიუხედავად წარმოდგენილი განცხადებებისა, ევროსაბჭოს დოკუმენტებში არის ფრიად საყურადღებო აქცენტები; კერძოდ: ქარტიის განმარტებითი მოხსენების პირველივე პუნქტში ვკითხულობთ: “ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქთონური ჯგუფები, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისგან“.

ე.ი. ევროპული სახელმწიფოები თვლიან (სამართლიანადაც - ტ.ფ.), რომ ეროვნულ თუ ენობრივ უმცირესობად მისაჩნევი საზოგადოება აბორიგენი, მოცემული ტერიტორიის თავდაპირველი, ძველისძველი ბინადარი (ავტოქთონი) უნდა იყოს; მაგ., დაბადებიდან გერმანიის მოქალაქე რამდენიმე მილიონ თურქსაც კი გერმანელები არ მიიჩნევენ ეროვნულ უმცირესობად, ვინაიდან, მიუხედავად ამ დიასპორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიისა, ისინი აქ მაინც მიგრანტებად არიან ჩათვლილი (შდრ.: ავტოქთონი - ამა თუ იმ ქვეყნის ძველისძველი მკვიდრი მოსახლეობა).

მიგრანტ და ავტოქთონ ჯგუფთა ენების განსხვავების აუცილებლობა მკვეთრადაა გამოთქმული ქარტიის სხვა მონაკვეთებში: განმარტებითი მოხსენების 31-ე ნაწილი:

“ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.

იხ., აგრეთვე:

ქარტიის პირველი მუხლის ა პუნქტის მეორე ნაწილი და ქარტიის 32 -ე განმარტება:

“რეგიონალური/უმცირესობათა ენები არ გულისხმობს (არ მოიცავს) სახელმწიფოს ოფიციალური ენის სახესხვაობებს, დიალექტებსა და მიგრანტთა ენებს“.

ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში არაადეკვატურად იქნა გააზრებული ტერმინები რეგიონალური ენა და უმცირესობის ენა. ამ ტერმინებს ნათლად განმარტავს ქარტია:

ქარტიის ი მუხლითა და ქარტიის მე-18 განმარტებით, რეგიონალურ ენად მიჩნეულია სახელმწიფოში მცხოვრები იმ ავტოქთონი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში, ხოლო უმცირესობის ენად ჩათვლილია ისეთი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც რიცხვობრივ უმცირესობაშია თავისსავე რეგიონშიც. ქარტია ასევე ლაპარაკობს ტერიტორიის არმქონე ენის შესახებ, კერძოდ, “ქარტიის“ 76 -ე განმარტებაში ვკითხულობთ: “მიუხედავად იმისა, რომ ქარტია ძირითადად შეეხება იმ ენებს, რომლებიც ისტორიულად გაიგივებულია სახელმწიფოს ამა თუ იმ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალთან, ევროპაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაეთვალისწინებინა აგრეთვე ის ენები, რომლებიც მართალია ტრადიციულად გამოიყენება ამა თუ იმ სახელმწიფოში, მაგრამ არა აქვს გავრცელების განსაზღვრული ტერიტორია.“

იხ., აგრეთვე:
ქარტიის მე-8 მუხლის ი.ზ. პუნქტი:
სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები “რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს რეგიონალური ან უმცირესობის ენა“.

ერი, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, სუბეთნოსი, თემი

წინა პარაგრაფში თვალნათლივ ვნახეთ:

სტრასბურგის დოკუმენტების მიხედვით სხვადასხვაა:

- _ ეროვნული ანუ სახელმწიფო ენა,
- _ უმცირესობაში მყოფი აბორიგენი ეთნიკური ჯგუფის ენის სახეობები:
- ადგილობრივი ენა და უმცირესობის ენა,
- _ მიგრანტთა ენა,
- _ ეროვნული ენის სახესხვაობა,
- _ დიალექტი...

ვნახეთ, აგრეთვე, რომ წარმოდგენილ ტერმინთა განმარტება დაკავშირებულია ეთნიკურ ცნებებთან. რამდენადაც საქართველოში დღეს აქტუალურია ენათა სტატუსის დადგენა, პირველ რიგში საწიროა ეთნიკურ ტერმინთა სემანტიკური ველის ზუსტი დახასიათება:

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ეთნიკური ერთობის, ეთნიკური ჯგუფის, ეთნოსის, ერის ძირითადი მახასიათებლებია: ისტორიული დედაენა (ერთიანი ენობრივი ხედვა-აღქმა), ისტორიული კულტურა (ტრადიციული რელიგიურ-კულტურული ღირებულებანი), ისტორიული მეხსიერება, ისტორიული ფსიქიკური წყობა (ტრადიციულ გარემოსთან მიმართებით ფორმირებული ენობრივ-კულტურული მენტალობა) და ისტორიული ტერიტორია/სახელმწიფო. ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი ტერმინებში: ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, სუბეთნოსი, ეთნოგრაფიული ჯგუფი მოიაზრებს როგორც ერსა და ტომს, ასევე, ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობასაც. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ უცხოურ თუ ზოგ ქართულ გამოცემაშიც (საინტერნეტო ცნობარებში, ენციკლოპედიებში, სახელმძღვანელოებში, ცალკეულ გამოკვლევებში), არაიშვიათად, საქართველო წარმოდგენილია არაბუნებრივად მრავალენოვან და მრავალეთნიკურ ქვეყნად; ზოგჯერ კომენტარების სახით დამატებულია ისიც, რომ საქართველოში სხვა ეთნოსთა უფლებები ილახება; გარდა ამისა, ზოგი პოლიტიზებული უცხოელი აქტიურად იღვწის, ქართველთა ნაწილი, მაგ., მეგრელები, ლაზები, სვანები, მესხები... გამოცხადდეს სხვა ხალხად (ნაციად); შესაბამისად, დღესაც არის მცდელობა, მეგრულ და ლაზურ კილოებზე შეიქმნას სალიტერატურო ენები (მაგ., იხ. ჯ.ჰიუიტი, 2004; ვ. ფორშტაინი, 2003...). ზოგჯერ ლაზ-მეგრელები არაქართველებადაა ჩათვლილი კეთილსინდისიერი უცხოელი ავტორების მიერაც. ქართველურ სინამდვილესთან მიმართებით დაშვებული ამგვარი შეცდომების სათავე, ზოგ შემთხვევაში, ლაზ-მეგრელთა ისტორიის არცოდნაა, ზოგჯერ კი - ქართველ მეცნიერთა შრომები; კერძოდ, როდესაც ქართველი მეცნიერის გამოკვლევაში უზუსტოდაა გამოყენებული ლინგვისტურ-ეთნოლოგიური ტერმინები და ქართველთა ცალკეული ჯგუფები გამოცხადებულია ეთნოსებად, ხოლო სხვადასხვა კუთხის ქართველთა კილოები ჩათვლილია

დამოუკიდებელ უმწერლობო ენებად, საქართველოს ისტორიის არმცოდნე უცხოურ საზოგადოებაში ბუნებრივად ჩნდება აზრი, დაეხმარო “დაჩაგრულ“ და “ჩამორჩენილ“ ეთნოსებს: შეუქმნა მათ დამწერლობა, წერილობითი კულტურა, სახელმწიფო და ა.შ. მაგალითად, ვ.ბოედერი მიიჩნევს, რომ სვანები, ლაზები და მეგრელები უმწერლობო ენების მქონე დამოუკიდებელი ხალხებია... ბოლო პერიოდში ისევ გააქტიურდა ქართველურ კილოებზე ბიბლიის თარგმნის იდეა; უცხოელებისგან მილიონი დოლარიც გამოიყო ზანური (მეგრულ-წანური) მეტყველების მეგრულ და სვანური მეტყველების ბალსქვემოურ კილოებზე წმინდა წერილის

გადმოსაღებად:

უძველესი მართლმადიდებლური წერილობითი კულტურის მქონე ეგრისისა (/სამეგრელოსა) და სვანეთის ქართველებს დღეს უთარგმნიან სახარებას! პატივცემულ მკითხველს შევახსენებ, რომ გულუბრყვილო ან მავნებლური ჩანაფიქრია, იოვანე ლაზის, ქართული ჰიმნოგრაფიის მამამთავრის - მარტვილელი იოვანე მინჩხის, წყონდიდელი სტეფანე სანანოისძის, იოვანე პეტრიწისა და დადიანების მშობელი კუთხის ქართველობას დღეს უთარგმნო სახარება... (ამ ბროშურაში დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურა ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, ქართველები, 2005).

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ისტორიულად მეგრულ-ლაზებს გამორჩეულად აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთოქართველურ ენობრივ კოინეზე დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის შექმნაში; ვის სწირდება ლაზ-მეგრელთა კილოების მიხედვით, ”გათიშე და იბატონეს“ პრინციპით შექმნილი სალიტერატურო ენები? ვის აძლევს ხელს დიდი ქართველური კულტურის თანაავტორი ამ საზოგადოებების გამოცხადება წერილობითი კულტურის არმქონე (უმწერლობო ენის მფლობელ) უმცირესობებად?

ქართულ სინამდვილეში ეთნიკურ ტერმინთა არასწორ გამოყენებას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა (გ.გეგეშიძე, ვ.ითონიშვილი), სადაც აღინიშნა არაქართველ ავტორთა მცდელობა, ქართველი ერის შემადგენლობიდან გამოაცალკევონ სვანები, მეგრელები, გურულები, კახელები და სხვ... ეთნოლოგთაგან უკანასკნელად ამ პრობლემას საყურადღებო წერილი უძღვნა რ. თოფჩიშვილმა (რ.თოფჩიშვილი, 1995 ; რ.თოფჩიშვილი, 2005); ქართველი ერის ისტორიისა და ეთნოსტრუქტურის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ ის სამართლიანად ასკვნის: “საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის – აწარლების, გურულების, მეგრელების, იმერლების, სვანების, თუშების... მოხსენიება არ შეიძლება ეთნოსად, ეთნიკურ ერთობად, ეთნიკურ ჯგუფად, ხალხად, ტომად, ეთნოგრაფიულ ჯგუფად, სუბეთნოსად და მისთ; ასეთი აღრევა გარედანაა თავს მოხვეული. დასახელებული ტერმინები ეთნოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ ერს, ეროვნებას, ან ჯერ ერთად ჩამოუყალიბებელ ენობრივ-კულტურული თვითშეგნების მქონე ერთობლიობას; ეთნოსებია: ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები, ქართველები და ა.შ., ხოლო ტომი მხოლოდ წინაფეოდალური გაერთიანებების აღსანიშნავად შეიძლება იყოს გამოყენებული და არა თანამედროვე მოსახლეობის მიმართ.“

წარმოდგენილი მნიშვნელობით ტერმინ ტომის გამოყენება იმიტომაც არის გაუმართლებელი, რომ ძველ ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ ძეგლებში საშუალო სპარსულიდან ნასესხები ეს სიტყვა დამოუკიდებელ ეთნოსს აღნიშნავდა (იხ., მაგ., “შუშანიკის წამება“, სახარების თარგმანები და სხვ.; ტერმინის

ისტორიისათვის იხ. დ.მელიქიშვილი, 1998). ტერმინი “ტომი“ უნდა დამკვიდრდეს, როგორც მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოებრივი გაერთიანების - წინარე ეთნოსის - ადმინიშენელი სიტყვა.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეთა აღსანიშნავად თანამედროვე ავტორები ინერციით მაინც იყენებენ არაზუსტ ტერმინებს. მაგალითად, ვ.ითონიშვილთან გვაქვს: ეთნოგრაფიული ჯგუფი, ეთნოლინგვისტური ჯგუფი, ეთნოტერიტორიული ჯგუფი... რ.თოფჩიშვილი გვთავაზობს ახალ ტერმინს - ეთნოგრაფიულ-დიალექტოლოგიური ერთეული; ჩვენი აზრით, მის დამკვიდრებასაც რამდენიმე გარემოება შეუშლის ხელს: ა. მოუხერხებელია სამსიტყვიანი ტერმინი; ბ. ცნება “ეთნოგრაფიულ-დიალექტოლოგიური“ მაინც ვერ გამორიცხავს ეთნიკურობის გაგებას...

აღნიშნული მნიშვნელობით ისეთი ერთსიტყვიანი ტერმინი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათისა იქნება და თავისთავში არ მოიაზრებს ეთნიკურობას; გარდა ამისა, ვინაიდან, საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობა არის ქართველი ერის ერთი კერძო სახე (როგორც, მაგალითად, აწარული კილო არის ქართული ენის ერთი მიკროვარიანტი), ტერმინმა ხაზი უნდა გაუსვას სწორედ ამ ასპექტს:

თანამედროვე ქართველობა არ წარმოადგენს ამჟამინდელ კახელთა, მეგრელთა, გურულთა, სვანთა, აწარელთა, იმერელთა და სხვათა მექანიკურ ჯამს; ზოგადად, ქართველი, როგორც ეთნოფსიქიკურ-ენობრივი ერთეული, კონკრეტულად განხორციელებულია სხვადასხვა თაობის სვანად, მეგრელად, აწარელად, გურულად, კახელად, თუშად, იმერელად, ტაოელად... და, ამდენად, თითოეული ეს ჯგუფი ისევე მიემართება ქართველის ცნებას, როგორც საერთო ენას მისი რეგიონალური ნაირსახეობანი - კილოები...

ამ და სხვა მიზეზების გამო, ჩვენი აზრით, სხვადასხვა კუთხის ქართველების: აწარლების, გურულების, სვანების, კახელების და ა.შ. აღსანიშნავად მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ისტორიული ტერმინი თემი. თემი ბერძნულიდანაა შემოსული; დასავლურ-ქართულ დოკუმენტებში XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან და მოწმებული (თ. ბერაძე, 1976, გვ.225). საბასთან თემი განმარტებულია, როგორც “ქვეყნის ერთი ნაწილი,” დ.ჩუბინაშვილთან - როგორც “ხალხი ერთი თემისა“ (“народ одной области”); ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით დამოწმებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: “ამ თვეში გურიის თემი შეიყრის თავს ჩვენს სოფელში“ (ენინოშვილი). საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეობის აღსანიშნავად თემს იყენებს მიხაკო წერეთელიც, ივანე ჯავახიშვილიც და ნიკო ბერძენიშვილიც...

ამგვარად, ეთნიკური ტერმინებით: ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, სუბეთნოსი და მისთ. უნდა აღინიშნოს დამოუკიდებელი ეთნოსტრუქტურისა და ენის მქონე ადამიანთა ერთობები, ტექნიკური ტერმინით: თემი - ერთი ეთნოსის შიგნით არსებული ლოკალური ჯგუფები (შდრ.: ეთნოსი - თემი - პიროვნება ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც ენა - კილო - იდიოლექტი); მაგ., ეთნო-ლინგვისტური ასპექტით, ქართველი ერის ცალკეული თემებია: აწარლები, გურულები, ჩაღმათუშები, წოვათუშები, იმერლები, ჰერები (ინგილოები), მეგრელები, ლაზები, მთიულები, იმერხეველები, მაწახლელები, სამცხელები, ლივანელები, ტაოელები, მოხვეეები, სვანები, ფერეიდნელები, ჯავახები, ხევსურები, ქართლები, ფშაველები, კახელები, რაჭველები, ლეჩხუმლები...

ისტორიულად ქართველი ერის ერთ-ერთ თემად მოიაზრება აფხაზებიც, მაგრამ რუსეთის იმპერიის ზეწოლით მათი ერთი ნაწილი თავს ქართველად აღარ აღიქვამს (მეტეც, აფხაზთა გაორებულ ცნობიერებას დღესდღეობით ანტიქართული მიმართულება აქვს; აფხაზთა თვითაღქმისა და ეროვნული მეობის გაორების ისტორიისათვის იხ.: ზ.პაპასკირი, 1994 ; ზ.პაპასკირი, 1998; თ.გვანცელაძე, 2000; თ.გვანცელაძე, მ.ტაბიძე, რ.შეროზია, რ.წანტურია, 2001 და სხვ.). ევროპულ სახელმწიფოებში, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, სხვა კონტინენტიდან ჩამოსულიც კი, თუკი ის მოცემული ქვეყნის მოქალაქე გახდება, სახელმწიფოს ძირითადი (სახელმდებელი) ერის შემადგენელ ნაწილად ითვლება, რამდენადაც ის უკვე ფლობს სახელმწიფო ენას და ემორჩილება სახელმწიფო კანონებს.

საქართველოში ჩამოსახლებული ეთნიკური ჯგუფების: ოსების, თათრების, რუსების, სომხების (და სხვ.) ერთი ნაწილი ისტორიის ამ ეტაპზე ქართველი ერის ნაწილად ვერ მიიჩნევა, ვინაიდან ეს ადამიანები ვერ ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, არ აღიარებენ საქართველოს კანონმდებლობას და სახელისუფლებო სტრუქტურებთან დღემდე რუსული პოლიტიკის ინტერესების შესაბამისად ურთიერთობენ. დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შემდგომი განვითარება (ინტეგრაციული პროცესები) ისე უნდა წარიმართოს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად:

- ჰქონდეს პატრიოტული გრძნობა თავისი სამშობლოს - საქართველოს - მიმართ;
- შეეძლოს თავისუფალი ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფო ენით;
- გააჩნდეს მოთხოვნილება, დაემორჩილოს საქართველოს კონსტიტუციას...

არაქართველური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქე მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება თავისუფალი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი... მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ჩვენ ვთქვათ, რომ, მსგავსად ფრანგი, გერმანელი, ესპანელი... ერებისა, ქართველ ნაციას, ძირითად - ქართულ (ქართველურ) ეთნოსთან ერთად ქმნიან სხვა ზემოთ დასახელებული მიგრანტი ეთნიკური ჯგუფებიც... დიდი ტოლერანტული ტრადიციების მქონე ქართველობა სამართლებრივი სახელმწიფოს აღორძინების შემთხვევაში ხელს შეუწყობს ამგვარ დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ყველა პიროვნებისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის ინდივიდუალობას.

ეროვნული ენა, დედაენა, ენის სახესხვაობა, დიალექტი; უცხო ენა

თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა მერყეობს 4000-დან 7000-მდე. დაახლოებით სამი ათასი ენობრივი ერთეულის სტატუსი სპეციალისტების მიერ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი; შდრ., არნ.ჩიქობავა, 195 2 , გვ.119: “მსოფლიოში ორი ათასზე მეტ ენას ითვლიან; ეს ციფრი უდავოდ გადაწარბებულია: ბევრი დიალექტი ენადაა მიჩნეული, რადგან ბევრი ენა თუ დიალექტი ჯეროვნად არ არის შესწავლილი”... მსოფლიოს ტრადიციულ ენებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ენად კვალიფიცირება ხდება ენათა “სისტემური იგივეობა-სხვაობების“ მიუხედავად; კერძოდ, ეთნიკურ-პოლიტიკური ნიშნით ენებადაა კვალიფიცირებული ანალოგიური ფონემატურ-გრამატიკული სისტემის მქონე ერთეულები (ბელორუსული და რუსული, რუმინული და მოლდოვური, აზერბაიჯანული და თურქული და სხვ.) და პირიქით,

ფონემატურ-გრამატიკული სისტემის მიხედვით საგრძნობლად განსხვავებული ბუხარული და ალჟირული, პრუსიული და ბავარიული (და სხვ.) ერთი ენის კილოებადაა მიჩნეული.

შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ:

როგორც წესი, მონათესავე ენობრივი ერთეულების ერთი ენის ვარიანტებად თუ სხვადასხვა ენებად ჩათვლა უშუალოდ უკავშირდება მოცემული საზოგადოების (საზოგადოებების) მიჩნევას ერთიანი ისტორიული კულტურის მქონე ერთ ენს ერთი ენა აქვს.

იშვიათად, ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური ან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც.

მონათესავე ენობრივ ერთეულთა შეფარდებითი განსაზღვრა-კვალიფიკაცია, როგორც წესი, იოლად ხერხდება ერთი ისტორიული ნაციის/ეროვნების ფარგლებში. გარდა ამისა, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საფუძვლიანი გამოკვლევები, რომლებშიც ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი მსგავსებების გამო, არამონათესავე ლინგვისტური ერთეულები კი მოცემული ენის დიალექტადაა კვალიფიცირებული; კერძოდ, არამონათესავე ენობრივი ერთეულის დიალექტად ქცევის განსასაზღვრავად შემუშავებულია ე.წ. გადაფარვის კრიტერიუმი (იხ. ი.გოსენსი, 1977).

ფართო მკითხველისთვის უთუოდ საინტერესოა ენისა და კილოს გამიჯვნის სხვა კრიტერიუმებიც, რომლებიც არსებობს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენს ხელთ არსებულ განმარტებებს გარკვეული პირობითობით ვაჯგუფებთ დებულებათა მსგავსების მიხედვით; ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმები დადგენილია მონათესავე ენობრივი ერთეულებისთვის: გ.ე.შმიდტი, უ.ამონი, ა.ბახი, თ.ლევანდოვსკი, პ.ვიზინგერი, ბ.სოვინსკი, ა.ლინკე და სხვ.: ენა - განფენის ხარისხის მრავალფეროვნება (პრესტიჟულობა) - გამოყენების მაღალი ხარისხი, კოდიფიცირებული დამწერლობა, სტანდარტულობა, სამწერლობო სტატუსი, გარკვეულწილად ხელოვნურობა. დიალექტი - გამოყენების დაბალი ხარისხი, არასტანდარტულობა, ზეპირი კომუნიკაციის საშუალება, ბუნებრიობა... პ.ფინკე, ბ.ჯორბენაძე, გ.ნებიერიძე (დიალექტების მფლობელთა შორის გაგებინება უნდა იყოს)... ვ.ჟირმუნსკი, ე.კოსერიუ, ი.ქლოუპეკი, ჯ.ჰერგენი და მრავალი სხვა (დიალექტებს შორის გაგებინება არაარსებითია): ენა - ძირითადი სისტემაა, დიალექტი კი არის სისტემის (ეროვნული ენის) ნაირსახეობა, ვარიანტი. გ.ბელმანის, ვ.კონიგის და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი ძნელი გასავლება; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისუფლად ხდება... ჰ.ჰარმანი, პ.აუერი და სხვ. თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის თუკი არის ბგერათმშესატყვისობა, მაშასადამე, ისინი ენებად უნდა კვალიფიცირდეს...

პრესტიჟულობა-სტანდარტულობის მიხედვით შეიძლება სამწიგნობრო ენისა და დიალექტის დახასიათება, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა.

ენობრივი სისტემის ვარიანტულობის მიხედვით მსჯელობაც მეტად პირობითია, ვინაიდან, მაგალითად, ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური ენები ერთმანეთთან მიმართებით უფრო ახლომდგომი ვარიანტები

არიან, ვიდრე, მაგალითად, გერმანული ენის დიალექტები. ხელოვნური და პრობლემის კვლევისათვის თითქმის არაფრის მომცემია ენობრივი ერთეულების ენებად თუ დიალექტებად კვალიფიცირება, ერთი მხრივ, სოციოლინგვისტური, მეორე მხრივ კი, "საკუთრივ" ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით.

საგანგებოდ

აღვნიშნავთ:

ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა ვერ გადაიწრება მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით; მეტიც, კულტურული ტრადიციის მქონე მსოფლიოს არც ერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით (ბგერათშესატყვისობა, მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორიები, ლექსიკა) არ არის სახელდებული ენად; გარდა ამისა, ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში, შესაბამისად, სისტემის ვარიანტი იქცევა დამოუკიდებელ სისტემად: დაკვირვება ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩვენებელი შეუზღუდავად მერყეობს.

ენისა და კილოს გამიჯვნის სანდო კრიტერიუმად ზოგს ენობრივ ერთეულებს შორის არსებული ბგერათშესატყვისობა მიაჩნია. ბგერათშესატყვისობის არსებობა-არარსებობის მიხედვით, მსოფლიოში არსებული არც ერთი ენა თუ დიალექტი არ არის კვალიფიცირებული; გარდა ამისა, მრავალ მონათესავე ენას შორის ბგერათშესატყვისობა არ გვაქვს და პირიქით: კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობები გვაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანულში, ჩინურში, იაპონურში...), მეტიც, მაგ., ჩრდილოკავკასიურ ენებში ბგერათშესატყვისობები დადასტურებულია თქმებშიც კი...

ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ ადეკვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში: წერილობითი კულტურის არმქონე ხალხის თვითაღქმა ხდება გაგებინების მიხედვით განსაზღვრული უმწერლობო ენის ფარგლებში (შდრ., ჩრდილოკავკასიური ენები). ამ მეთოდს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც, საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის ან სინჰალურის არმცოდნე გლეხისთვის თუ თავისი მშობლიური დიალექტი აღიქმება დედაენად, იგი მისდაუნებურად ემიჯნება საკუთარ უძველეს კულტურას; შდრ.,

აგრეთვე:

ისტორიულად აფხაზებიც ქმნიდნენ ზოგად ქართულ-აფხაზურ სამწიგნობრო კულტურას; მეოცე საუკუნემდე აფხაზთა განათლებულმა ნაწილმა კარგად იცოდა, რომ, სხვა ქართველთა დარად, დიდი ქართველური კულტურის მემკვიდრე იყო. რუსეთის იმპერიის მესვეურთა მეცადინეობით XX საუკუნეში აქტიურად განვითარდა აფხაზთა ჯერ კულტურულ-ენობრივი სეპარატიზმი, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის მიერ აფხაზთა განათლებული ნაწილის - არისტოკრატისა და ინტელიგენციის - გაჟლეტით ამ კუთხის მოსახლეობამ დაკარგა ბუნებრივი კავშირი ზოგადქართულ კულტურულ წარსულთან. დღეს აფხაზთა ნაწილი უარს ამბობს

ქართველებთან საერთო სახელმწიფოზეც კი... ასე რომ, განათლების სიმწირის (ეროვნული კულტურისა და სამწიგნობრო ენის ვერფლობის) პირობებში, ადამიანთა ჯგუფმა დედაენად შეიძლება ჩათვალოს მშობლიური კილო. ჩვენი აზრით, ენისა და დიალექტის გამიჯვნა არც ამ ე.წ. პლებისციტური მეთოდითაა შესაძლებელი და სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტერიუმის გამოყენებას; შდრ., როგორც წესი, ენობრივი თვითმიკუთვნება შედეგია ეროვნულ-ეთნიკური თვითმიკუთვნებისა. შენიშვნა: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს მკვიდრდება უცხოური ტერმინი იდენტობა (იდენტიტე), არადა, მასზე ბევრად მოხერხებულია ქართული თვითობაც, თვითაღქმაც და თვითმიკუთვნებაც. ენისა და კილოს გასამიჯნავად უფრო აქტიურად განიხილება გაგებინება; არადა, დედამიწაზე არსებული ენობრივი ერთეულების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრული არ არის გაგებინების კრიტერიუმის მიხედვით; მაგ., გაგებინება არ არსებობს იტალიურის, ფრანგულის, გერმანულის, არაბულის, იაპონურის, ჩინურის და სხვა ენების დიალექტებს შორის; შდრ., აგრეთვე: მეტ-ნაკლები ხარისხის გაგებინება არსებობს ენებად აღიარებულ მრავალ ერთეულს შორის (აზერბაიჯანულსა და თურქულს, უკრაინულსა და ბელორუსულს, სერბულსა და ხორვატიულს, ჩეხურსა და სლოვაკურს...). გაგებინების ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს წერილობითი ტრადიციის არმქონე ენობრივი ერთეულების სტატუსის განსაზღვრისას: თუ მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა, ასეთ შემთხვევაში, არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომდერწავი, გამაერთიანებელი კულტურულ-ენობრივი სისტემა; შესაბამისად, საერთო ეთნოკულტურული ერთობის ცოდნის არარსებობისა და მეტყველების გაგებინების დაბალი ხარისხის პირობებში, უმწერლობო მონათესავე ერთეულები ამ საზოგადოებების მიერ ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დამწერლობის მქონე კონტინუუმები ენადაა კვალიფიცირებული; შესაბამისად, დღის წესრიგში არც დგას დამწერლობისა და კულტურული ტრადიციის მქონე ენობრივი ერთეულების სტატუსზე მსჯელობა. აქტუალურია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა. ჩვენი აზრით, დიალექტი უნდა განიმარტოს, როგორც მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით: კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში. შესაბამისად, უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს.

ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმებზე მსჯელობის დასასრულს კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ თუ რომელიმე სპეციალისტი კრიტერიუმად აიღებს ბგერათმეცნიერების, მისთვის მონათესავე ენობრივ ერთეულთა ენა-კილოებად კვალიფიკაცია, ბუნებრივია, სხვაგვარად მოხდება (მაგ., გერმანული ენის ბავარიული და მეკლენბურგული კილოები სხვადასხვა ენებად ჩაითვლება); თუ გაგებინებას აიღებს კრიტერიუმად, ბევრი ენობრივი ერთეულის სტატუსი გახდება გადასასინჯი (მაგ., არაბული კილოები: ალჟირული და ბუხარული, ქართველური კილოები: ინგილოური და გურული სხვადასხვა ენებად მისაჩნევი გახდება) და ა.შ. ბუნებრივია, ყველა მკვლევარს აქვს უფლება, აირჩიოს რომელიმე კრიტერიუმი, იმსჯელოს, მის მიხედვით გადააჯგუფოს ენები თუ კილოები, მაგრამ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: როგორც წესი, მსოფლიოს ძირითად ენათა სტატუსი განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით. მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების მიმართებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენობრივი ვარიანტების იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით; კერძოდ, აქტუალურია სქემა: ერი – მისი სამწიგნობრო ენა – ამ ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებანი.

რას ფიქრობდნენ ჩვენი წინაპრები ქართველურ ენობრივ

ერთეულთა სტატუსის შესახებ

ადრეულ საუკუნეებში ენის სტატუსის განსაზღვრისა და ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა “ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც 1790 წელს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა; ტრაქტატში მკაფიოდაა ნათქვამი: “ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (- ურთიერთვალდებულებითი - ტ.ფ.) სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის. ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების...” საქართველოში საბჭოთა იმპერიის გაბატონებამდე მეგრულ-წანურ და სვანურ ენობრივ ერთეულებს კილოებად თვლიდნენ ქართველთა წინა თაობებიც და მეცნიერებიც; მაგ., მეგრულს კილოდ, ენა-კავად, დამახინჯებულ ანუ არასტანდარტულ ქართულად (შდრ.: “მრუდი ქართული“, “წამხდარი ქართული“), ე.ი. სამწიგნობრო ქართულის დიალექტად მოიხსენიებდნენ: საბა, ვახუშტი, ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე წარაია, კონსტანტინე გამსახურდია, ბესარიონ ნიჟარაძე, გიორგი წერეთელი, ოთარ გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია და სხვ; შდრ., კ. დანელია, 1984, გვ. 6-8); იხ., მაგ.: პ.წარაია: “ივერიული ჯგუფი“ კავკასიის ენებისა, შეიცავს ენებს ზოგადის ქართული გვარისას, რომელიც შედგება შემდეგის დიალექტებისაგან: 1.საკუთრივ ქართულისა,

2 . მეგრულისა, 3 .ლაზურისა და 4 .სვანურისაგან. ყველა ამ ენებს, ან უკეთა ვსთქვათ, დიალექტებს ერთსა და იმავე ძირ-ენისას აქვთ ძლიერ ახლო და მწიდრო ნათესაობა ურთიერთ შორის. მხოლოდ სვანური ცოტათი უფრო განირჩევა სხვებისაგან; მაგრამ ისიც იმდენად არა, რომ მისი ნათესაობა ქართულ გვარ ენებთან, როგორც სიტყვებისა და სიტყვის ფესვების, ისე გრამატიკულ ფორმების მიხედვით არა თუ ენის მეცნიერთათვის, არამედ ყველა დამკვირვებელ ქართველთათვისაც აშკარა არ იყოს. რაც შეეხება მეგრულსა, ეს ღვიძლი ძმია ქართულის ენისა, რომელსაც იგი არა “ძლიერ წააგავს“, არამედ რომელთან თითქმის “იგივეობს“, თუ ქართულის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმერულს, ქართლურს, გურულს, რაჭულს, მთიულურს და სხვ. ცალ-ცალკე, არამედ, სრულიად საერთო ქართულს ძველის მწიგნობრულითურთ აღებულსა“ (წარაია, 1997, გვ.2 04).

რიხარდ ერკერტი და მოსე ჯანაშვილი: კავკასიურ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა სამხრეთკავკასიური ანუ იბერიული ენა (ერკერტი, 1895 , გვ.3 86 -3 87). იბერიული ენის არსებობის ადრეული სახეობაა ძველი ქართული, რომლის განშტოებაა სვანური მეტყველება. იმავე ძველი ქართულის გაგრძელებაა ახალი ქართული, რომლის განშტოებაა მეგრული, მეგრულის განაყარი კი ლაზურია (ერკერტი, 1895 , გვ.2 87).

შდრ. ქართველი საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებები (ვრცლად იხ. თ.გვანცელაძე, “ენათა გენიალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო“, ქართველური მემკვიდრეობა, VII, 2 003): აკაკი წერეთელი, სტატია “უბრალო საუბარი“ (1898 წ): “თუ არა მზაკვარება და უფუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყოს და მეგრული ძირითადი ქართული!...“ “თუ იმას ვიტყვით, რომ იმათ (მეგრელებს - თ.გ.) შინაურობაში (განსაკუთრებით დაბალი წოდების ხალხს) მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლები არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალაროა ნამდვილ ქართული სიტყვების“. იაკობ გოგებაშვილი: ა) სტატია “ნაციონალური ერთიანობა ქართველებისა“ (1894 წ.): “ქართველებში ვხედავთ თუ არა ... ერთიანობასა? ოღონდაც ჰყავთ ქართველებს, იმერებს და ამერებს, ერთი მამამთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთს ენაზე უბნობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს...“ ბ) სტატია “დაბალი ღობე ერთა შორის“ (1894 წ. წერილი ეხება მეგრულისა და სვანურისათვის დამწერლობის შექმნის მორიგ მცდელობას): “სად თქმულა და გაგონილა, რომ დაბალმა მოხელეებმა ერს მოჰგლიჯონ ღვიძლი ნაწილი, მთელი მხარე, გაჰყარონ შეხორცებულნი ერთად ღვთისა და ბუნების ნებით, გასწყვიტონ ათასის წლის ძმური კავშირი, ორივე მხრის შესასუსტებლად და ჩასაყლაპავად, და უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომს ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება და ძმური ურთიერთობა დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენს შინაურს კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარს დედა-ენასა, და დაივიწყე იგი, გადააგდე იქით მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომლის სალაროში არც ერთს ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია, გააუქმე შენი საღმრთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულია შენი სარწმუნოება, დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსებობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდგან უნდა დაიწყოსო“.

გ) სტატია “ზოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“ (1902 წ.): “ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს დედა-ენად, და თემიური კილო-კავები (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. (...) ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს არ ესმით. (...) ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც... ყველა ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდგან დაწყებული დაღისტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულს დედა-ენაზე დაწერილნი. განსამარტავად ადგილობრივ გაუგებარ სიტყვებისა და ფრაზებისა, მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერად ადგილობრივს ტერმინებსა და ფრაზებსა, მაგალითად, სამეგრელოში და სვანეთში, და სწავლასთან ერთად ავრცელებდნენ დედა-ენის სრულს ცოდნასა. (...) არსად, არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილა იმისთანა წკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება სათემო კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედა-ენაზე. ჩვენში-კი გამოჩნდნენ იმისთანა წკუით გლახაკნი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდგან დედა-ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილო-კავებსა ხმარობსო“.

დ) სტატია “მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“ (1903 წ.): “... საკუთარი გულისწადილის გამო მეგრელებმა, ყველა ქართველ ტომთან ერთად, იმთავითვე აღიარეს ქართული ანბანი თავის საკუთარ ანბანად, და თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა, პროვინციულ კილოს კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობდნენ“.

“... მეგრელთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის ძირითად ენად (დედა-ენად), ხოლო თავის ადგილობრივ დიალექტს უცქეროდა როგორც მშობლიურ კილოს“.

“ფრანგი მოგზაურის შარდენის გადმოცემით, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ინახულა სამეგრელო, სამეგრელოში მცხოვრებ და მქადაგებელ კათოლიკე მისიონერებს, მეგრული კილოს შესწავლის შემდეგ, ადვილად ესმოდათ ქართული ენაც“.

“ქართული ენა, ქართული დამწერლობა და ლიტერატურა საუკუნეთა მანძილზე ისე მწიდროდ შეეზარდა მეგრელთა შეგნებას, ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა მასში და ისეთ მტკიცე საფუძველს ეყრდნობა, რომ მათი განდევნის ცდა კიდევ უფრო გააძლიერებს მეგრელთა სიყვარულს, ამ ძვირფასი საერთო ქართული საუნჯისადმი, რასაც ასე ნათლად ვხედავთ უკანასკნელ ხანებში“. “... ის, რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც - სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპათიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც“.

ბესარიონ ნიჟარაძე, 1904 (გაზეთი “ივერია“): “სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეჰპრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო! ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საწირო ის დაჟინება და სვანების გასხვისტომება“.

კონსტანტინე გამსახურდია, 1983 , გვ. 4 11: “ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი ენას უწუნებდა მას“.
 კიდეც აღვნიშნავთ:
 ერთხელ აღვნიშნავთ:
 ქართველთა სამწიგნობრო ენა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა ისტორიულ ლაზეთშიც, სამეგრელოშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც, იმერეთშიც, საქართველოს მთიანეთშიც და კახეთ-ჰერეთშიც, შესაბამისად, საერთოქართველურ ენობრივ კონიეზე აღმოცენებული სამწიგნობრო ქართული ყველა ამ კუთხის ქართველის დედაენაა, ხოლო ზანური, სვანური, მესხური, ჰერული, ფხოური, რაჭული, მესხური და ცენტრალური ჯგუფის დიალექტები ქართველთა მშობლიური კილოებია... შდრ.: იაპონიაში, ინდოეთსა თუ ჩინეთში მრავალი ადამიანი ვერ ფლობს ოფიციალურ სახელმწიფო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ითვლება სამწიგნობრო ენა (იაპონური, ჩინური, ინდური). ზოგადად, დედაენა შეიძლება იყოს უმწერლობო ენაც, თუკი კონკრეტულ საზოგადოებას წერილობითი კულტურა არ შეუქმნია. შდრ.: ქართული ენის სემანტიკური ველის მიხედვით, სხვათა ენას უცხო ენა ჰქვია (შდრ.: иностранный язык - სიტყვასიტყვით: “სხვა ქვეყნის ენა“).

ქართველთა ენობრივი ერთეულები

სამწიგნობრო ქართული ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენას (მსჯელობა და სამეცნიერო ლიტერატურა ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2 005). ქართველთა თანამედროვე საშინაო-სამეტყველო ერთეულები წარმოადგენენ ზოგადქართული ენის სახესხვაობებს ანუ ლოკალურ ვარიანტებს: ენა-კავებს, დიალექტებს/კილოებს.

სამწიგნობრო ქართულთან - ქართველურ სალიტერატურო ენასთან (ენათმეცნიერ რევაზ შეროზიას ტერმინია!) მიმართებით, ქართველთა კილოები უნდა დაიყოს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებულ დიალექტებად; თავის მხრივ, განაპირა დიალექტებს ექვს ქვეჯგუფად წარმოვადგენთ;

ცენტრალური კილოები:
 კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.
 განაპირა კილოები:
 მესხური კილოები: აწარული, ლივანური, მაწახლური, იმერხეული (შავშური), ტაოური, სამცხური, ჯავახური (აქვე შემოვა ორდუს რეგიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება);

ჰერული კილოები: კაკური, ალიაბათური;
 ფხოური კილოები: ჩადმათუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე შეიძლება განვიხილოთ წოვათუშური, რომელშიც შთამბეჭდავად წარმოდგენილი როგორც ქართველური, ასევე ვაინახური ენობრივი შრეები; ჩვენთვის საინტერესოა, რომ დ.მელიქიშვილი წოვათუშურ მეტყველებას ქართულ შერეულ დიალექტად მიიჩნევს (დ.მელიქიშვილი, 2001, გვ.16).
 რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული;
 სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური,

ბალსზემოური (შდრ., გერმანული ენის ალმენური მეტყველება იყოფა სამ დიალექტად: შვაბური, ქვემოალმენური და ზემოალმენური; ვ. ჟირმუნსკი, 1956, გვ.39).

ზანური კილოები: მეგრული, ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური; მუჰაჯირ ლაზთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები მცირე გვაქვს, შესაბამისად, ლაზური დიალექტების ზუსტი კვალიფიცირება მომავლის საქმედ რჩება). საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები: ფერეიდნული (შუა სპარსეთში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა მეტყველება), “ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში გადასახლებულ მუჰაჯირთა ქართული) და ყიზლარ-მოზდოკელ ქართველთა მეტყველება.

ენობრივი სიტუაცია საქართველოში (მოკლე ისტორიული ექსკურსითურთ)

ყველა ქვეყნის ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა აქ მცხოვრებ ხალხთა ცხოვრების სიმეტრიული ასახვაა. ისტორიის დიდი ცოდნა არ ესაწიროება ქართული რეალობის გარკვევას:

სხვა სახელმწიფოების მსგავსად საქართველოშიც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეები ცხოვრობენ: აფხაზები, ებრაელები, სომხები, თათრები, ბერძნები, ოსები, მოგვიანებით, რუსები, უკრაინელები... შდრ., საფრანგეთში, ამერიკაში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში გაცილებით მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, მაგრამ ისინი იქ არ ითხოვენ საქმისწარმოებასა და უნივერსიტეტებს თავიანთ ენებზე...

მიზეზი მარტივია: როგორც ზემოთ ვნახეთ, მოცემულ სახელმწიფოში ეროვნული და ენობრივი უმცირესობის უფლებები აქვს ავტოქტონ და არამირითად მოსახლეობას; სახელმწიფო ვალდებულია გაიღოს მათი ენებისა და კულტურებისათვის საწირო დაფინანსებაც. თუმცა, მსგავს დახმარებას არ უწყევს სხვადასხვა დროს მოსულ ხალხს - მიგრანტებს (ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ შეინარჩუნონ და განივითარონ თავიანთი ენები/კულტურები)...

საქართველოში ავტონომია არასოდეს მოუთხოვიათ ებრაელებს, თუმცა ისინი უშფოთველად ცხოვრობდნენ აქ 26 საუკუნის მანძილზე; ასევე ქართველებთან ინტეგრირებულად მოსახლეობდნენ უფრო გვიან ჩამოსახლებული: ბერძნები, სომხები, თათრები, ოსები (1918 წელს ცხინვალში მხოლოდ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა), ჩეჩნები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვ. საქართველოში ე.წ. ეთნიკური კონფლიქტები ჩნდება კავკასიაში ქემალისტური თურქეთისა და ბოლშევიკური რუსეთის დამკვიდრების შემდეგ: სოფელ ზოჰაბში 1639 წლის 18 მაისს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ზავით მესხეთი თურქეთს დარჩა; მესხეთმა, როგორც “საქართველოს ყველაზე მოწინავე კუთხემ, არსებობა შეწყვიტა“ (მ.რეხვიაშვილი). ამის შემდეგ თურქები უფრო წარმატებით ავიწროვებენ, დევნიან, კლავენ ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლ თავად-აზნაურებსა და გლეხებს; ქართველების მრავალსაუკუნოვანი წინააღმდეგობით გამწარებული ოსმალოები განსაკუთრებული სისასტიკით

მართლმადიდებლებს დევნიან ან ანადგურებენ. მე-18 საუკუნეში მესხეთის ტრაგედია ღრმავდება: მუსლიმანობის გავრცელებით იზღუდება საეკლესიო ცხოვრება და მრევლი; შესაბამისად, ვიწროვდება ძირძველი ქართული სამწიგნობრო ენის გავლენის ველი... ფაქტობრივად, თურქებისვე ხელშეწყობით, ეკლესიაში ქართულს ენაცვლება სომხურიც... მთლიანობაში, ქართულის შევიწროვების ხარჯზე, მნიშვნელოვნად იცვლება ენობრივი სიტუაცია. 1829-30 წლებში ახალციხის საფაშოს რუსეთი იერთებს; თურქობის გამო მესხეთიდან იმერეთსა და ქართლში ადრე გაქცეული მესხი თავად-აზნაურები (ციციშვილები, ავალიშვილები, მუსხელიშვილები, გოგორიშვილები...) პასკევიჩს წარუდგენენ მემკვიდრეობის დოკუმენტებს და თხოვენ მამულების დაბრუნებას, მაგრამ იმპერიის ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ პასკევიჩი არა მხოლოდ მათ, არამედ ადგილზე დარჩენილი ბეგების მიწებსაც კი სახელმწიფო საკუთრებად აცხადებს და მუსლიმან ქართველთაც აიძულებს სამუდამოდ დატოვონ წინაპართა მიწა; ამ პერიოდში რუსეთის იმპერიამ პასკევიჩის, პოტიომკინის, ზავილეისკის, ბებუთოვის და სხვათა აქტიურობით შეავიწროვა და 192 8-29 წლებში საქართველოდან წასვლა აიძულა ათიათასობით მუსლიმან ქართველს; 1830 წელს პასკევიჩისა და სომეხი ეპისკოპოსების მოლაპარაკების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის თავად-აზნაურთა მიწებსა და მუჰაჯირ ქართველთა სახლ-კარში დასახლდნენ ერზერუმიდან აყრილი სომხები (შ.ლომსაძის ცნობით, დაახლოებით 5000 ოჯახი - 35000 სული, ხოლო ა.სილაგაძისა და ა.თოთლაძის მიხედვით - 25000)... საქართველოში კიდევ ერთხელ ქართულის საზიანოდ ხელოვნურად შეიცვალა ენობრივი სიტუაცია... რიტორიკულ კითხვას პასუხი არ სწირდება, მაგრამ მ.თამარაშვილის 100 წლის წინანდელი წუხილის გვერდით მოვიყვანთ ა. ყიფშიძის (ი. ფრონელის) იმავედროინდელ დასკვნას: მიხეილ თამარაშვილი: “თურქთა უღლიდან განთავისუფლების შემდეგ რა ხელშემწყობი მიზეზებით იკიდებს ფეხს თურქული ენა სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებში?” ან: “ახალ დროებში რატომ ბნელდება ერთ დროს თავმოწონებული მესხი სწავლითა ქებული?..“ ალექსანდრე ყიფშიძე: “საოცარი ამბავია, მაგრამ შეურყეველი და წეშმარიტი ისაა, რომ ქართული ენა უფრო დაიჩაგრა რუსების მოსვლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში... მიზეზი ისაა, რომ ქართულმა ენამ ხალხში ფუნქცია დაკარგა რუსობის მართვა-გამგეობის დროს, აღარაა იგი ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში...” (ა.ფრონელი, 1991, გვ. 135). საქართველოს დანაწევრებისა და ამ გზით მისი ტერიტორიების მითვისების მიზნით, რუსეთი გააქტიურდა XIX-XX საუკუნეებში. რუსეთის კომუნისტური იმპერიის ხელშეწყობით, მიგრანტ ჯგუფებს “გაუჩნდათ“ სურვილი ქართველურ ტერიტორიაზე მიიღონ ის უფლებები, რაც მათ აქვთ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში; მეტიც, XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მაშინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელდა ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქში; შესაბამისად, ამ რეგიონებშიც წარმატებული აღმოჩნდა იმპერიული ენობრივი პოლიტიკა... ევროპული ქარტიის დებულებებიდან გამომდინარე, საქართველოში ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობებად ვერ ჩაითვლებიან სხვადასხვა დროის მიგრანტები: ებრაელები, ბერძნები, სომხები, აზერბაიჯანლები, ოსები, ჩეჩნები, რუსები... გარდა ამისა, ამ ხალხებს მეზობლად აქვთ ეროვნული სახელმწიფოები: სომხეთი, აზერბაიჯანი, ოსეთი (რა თქმა უნდა, ჩრდილო ოსეთი!), ჩეჩნეთი, რუსეთი,

საბერძნეთი...

ამჟამად საქართველოში ეროვნული უმცირესობის ყველა უფლება მხოლოდ აფხაზებს უნდა მიენიჭოთ, ვინაიდან ქართველობის ახლომონათესავე ამ ხალხს სხვაგან არსად აქვს პერსპექტივა, ჰქონდეს ის უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს ევროსაბჭოს დოკუმენტები.

ქარტია და კონვენცია არ გვავალდებულებს, მაგრამ პროვოკატორთა ერთი ჯგუფი სხვა მხრივაც ცდილობს საქართველოს ენობრივი ვითარების დამძიმებას; კერძოდ, ესწრაფვიან, საქართველოში ენობრივ უმცირესობათა სიაში შეიყვანონ ძირძველი ქართველები: მეგრელები, ლაზები, სვანები, თუშები, მესხები, აწარლები... მაგ., 1992 წელს სტრასბურგში მიღებული უმცირესობების ენების ქარტიის ფონზე საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრები მეგრელებს თვლიან უმწიგნობრო ენის მქონე ხალხად და ლაპარაკობენ მეგრული და სვანური ენების განვითარების (?) აუცილებლობაზე...

მეგრულ-ლაზური, სვანური, ხევსურული, ფშაური, ტაოური, იმერხეული, ქართლური, კახური და ა.შ. ქართველთა სხვა დიალექტური ჯგუფები საუკუნეების მანძილზე იყვნენ და არიან ახლაც ქართველთა სამწიგნობრო ენის თავანკარა მასაზრდოებელი წყარონი. ამ მეტად ძვირფას საგანძურს - ქართველთა დიალექტებს (ენა-კავებს) დიდი გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა უნდა და არა - კუთხურ კილოებზე ე.წ. სალიტერატურო ენის შექმნით - დედაენასთან მათი მოწყვეტა-დაპირისპირება, რაც უეწველ სიკვდილს გამოიწვევს.

ამგვარი მცდელობანი ახალი არ არის: იმპერიის შეკვეთით ამას აკეთებდნენ და აკეთებენ: ი.ჟვანია, ჯ.ჰიუტი, ვ.არძინბა და ა.შ. არადა, ანბანური წემმარიტებაა:

მრავალსაუკუნოვანი ქართველური/ქართული სამწიგნობრო ენა და კულტურა თვისობრივად ერთნაირად იქმნებოდა სამეგრელო-ლაზეთშიც, სვანეთშიც, მესხეთშიც, თუშეთშიც და ქართლ-კახეთშიც; მაგ., ქუჯის, იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, სტეფანე სანანოისძის, წყონდიდლების, იოვანე პეტრიწის, დადიანების, გამსახურდიების და მრავალ სხვათა მიერ შექმნილი ენა მეგრელისთვის დედაენა არ არის?

მეგრული ამ უძველესი ქართული/ქართველური ენის ნაირსახეობაა და არა რუსულივით თუ გერმანულივით სხვა ენა; შდრ.: სალიტერატურო ენის ზმნა: დაუძახა, იმერული: დოუძახა, აწარული დუუძახა, მეგრული: დუუძახუ... ადამიანს არ შეიძლება ჰყავდეს ორი მშობელი დედა; ასევე, არ არსებობს ორი სამშობლო, ორი დედაენა; შდრ.: ენა დედაა ერისა! ორი დედაენა ორი ეროვნებაა? როგორც ზემოთ, ვნახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ენად/კილოდ სახელდების პრინციპების შესახებ, თუმცა, უკლებლივ ყველა მეცნიერი თვლის, რომ მეგრული, წანური, სვანური, კახური და ა.შ. ქართველთა ყველა ენა-კავი თუ დიალექტი საქართველოს სახელმწიფო ენის - სალიტერატურო ქართულის - სოციოლინგვისტური დიალექტებია.

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ავტოქთონ

ქართველთა საკითხი

საქართველოს ამჟამინდელი საზღვრების გარეთ მცხოვრებ ავტოქთონ ქართველებს ხშირად არა აქვთ ინფორმაცია საკუთარი ისტორიის, კულტურის შესახებ; მოვიყვანთ

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ლაზთა მაგალითს: მრავალწახნაგოვანი ისტორიული კატაკლიზმების გამო, ლაზებს სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და კულტურულ ველში უხდებოდა ცხოვრება. შესაბამისად, განსხვავებულია საკუთარი წარსულის ცოდნის ხარისხიც, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ფაქტორებზე; კერძოდ: ლაზთა ერთი ნაწილი (ძირითადად, სარფისა და გონიო-ახალსოფლის მკვიდრნი) არ მოწყვეტილა ქართველურ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ველს; შესაბამისად, ამ მოსახლეობამ იცის, რომ მეგრელთა, კახელთა, მესხთა, ფხოველთა... მსგავსად, ისინიც არიან ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები; მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს მეფეების დიდი ნაწილის გარდა, ლაზურ-წანურ-მეგრული წარმოშობისანი იყვნენ ქართველური კულტურის შემქმნელები იოვანე ლაზი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, იოვანე მარუშისძე, წყონდიდლები... დადიანები, ჩიქოვანები, გამსახურდიები და მრავალი სხვა. ლაზთა მეორე ნაწილი აღიზარდა თურქეთის სახელმწიფოში. მას დავიწყებული აქვს თავისი კილო და, თურქული განათლების სისტემის შესაბამისად, თავს თურქად მიიჩნევს. თურქეთსა და ევროპაში მოღვაწე ლაზთა მესამე ნაწილისათვის უცნობია (ბუნებრივია, არა ყველასათვის!) საერთოქართველური კულტურის ქმნადობის პროცესში ლაზ-მეგრელთა მონაწილეობა, მაგრამ მათ იციან, რომ ლაზები ენობრივ-ეთნიკურად არსებითად განსხვავდებიან თურქებისაგან. ლაზთა ეს ჯგუფი საკუთარი მეტყველების ბაზაზე ცდილობს ახლა შექმნას სამწიგნობრო ენა და “გადაარჩინოს” თავისთავადობა.

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ძნელი არაა სამეცნიერო ცოდნის განსაზოგადოებრიობა; ჩვენს შემთხვევაში საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს იცოდეს:

1. კოლხური (კოლხურ-ყობანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, კოლხური სახელმწიფო ოცზე მეტ ქართველურ ტომს აერთიანებდა და თავისი არსით საერთოქართველური ხასიათისაა.

2 . ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთო ქართველურ ენობრივ კონიეს და არა ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.

3 . საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზ-მეგრული წარმოშობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, წყონდიდლები და სხვა);

4 . ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უწირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს - თამარს; ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი.ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი.

...ამ და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის ლაზთა თვითაღქმისათვის.

დღევანდელი საქართველოს ენობრივი სიტუაციის

რამდენიმე პოლიტიკური ასპექტი

ამჟამინდელი საქართველოს ენობრივი სხეულის დია წრილობა უქართველურსიტყვოდ დარჩენილი აფხაზეთი და ცხინვალის მხარეა. ამ იარის მორჩენა მაინც შეუძლია დღევანდელ ქართველობას, მით უმეტეს, ცივილიზებული მსოფლიოს მხარდაწერა გვაქვს. არსებობს რეალური სამართლებრივი შესაძლებლობა, საქართველოში დამყარდეს კანონის უზენაესობა, შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობები, სადაც დაცული იქნება საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული ენის ღირსებაც, ეროვნული უმცირესობის უფლებებიც და სათანადოდ იქნება პატივდებული მიგრანტთა კულტურებიც... ვფიქრობთ, პირველ რიგში, აუცილებელია, ობიექტური პასუხი გავცეს სამ ძირითად კითხვას და თავისი სახელი დაერქვას უახლოეს წარსულში მომხდარ რამდენიმე ფაქტს:

1. რა სახის კონფლიქტები გვაქვს ბოლო ათწლეულების საქართველოში? საქართველოში არსებული სისხლიანი დაპირისპირებანი არის რუსეთ-საქართველოს გაწიანურებული ომი და არა ქართულ-აფხაზეთური, ან ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტი.

რუსეთის იმპერიული ძალები და ე.შევარდნაძის უკანონო რეჟიმი ცხინვალისა და აფხაზეთის მოვლენებს შეთანხმებულად აცხადებდნენ ეთნოკონფლიქტად, რათა მიეჩქმალათ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის ფაქტი. არადა, მაგ., აფხაზეთში მიმდინარე ომს დიდი ხანია რუსეთ-საქართველოს ომს უწოდებს დასავლეთის პრესა; “ვაშინგტონ პოსტში” იხ., მაგ., ლი ჰოკსტაიდერისა და სხვათა სტატიები, რომლებიც დაიბეწდა: 1993 წლის 2 8 სექტემბერს, 1993 წლის 22 ოქტომბერს, 1994 წლის 10 მარტს და ა.შ. მაგალითად, 1994 წლის 10 მარტის “ვაშინგტონ პოსტში” გამოქვეყნებულ წერილში ხაზგასმით ნათქვამია: რუსეთი ვერ ელევა რა თავის კოლონიას - საქართველოს, შეჰყავს იქ თავისი ჯარები სამშვიდობო ჯარის სტატუსით; სტატიაში მოყვანილია ე.შევარდნაძის აზრიც: “მე სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ”. ამავე წლის 24 ივლისის “ვაშინგტონ პოსტში” გამოქვეყნებულ წერილში იალტა - II ლელი ვეიმოუთი (Lally Weymouth) ასკვნის: “იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთს ვეტო არ დაედო გაეროს რეზოლუციისთვის ჰაიტის შესახებ, ვაშინგტონმა მწვანე შუქი აუნთო მოსკოვის სამშვიდობო ოპერაციას საქართველოში” (Washington post, 2 4 ივლისი, 1994 წ. (საკითხის მიმოხილვა ვრცლად იხ., ო.ნიკოლეიშვილის ნაშრომში “აფხაზეთის პრობლემა გაზეთ “ვაშინგტონ პოსტის” შეფასებით“, “ქართველური მემკვიდრეობა“, IX, 2 005)...

2 . რა გზით შეძლო რუსეთის იმპერიამ სისხლიანი კონფლიქტების პროვოცირება? რუსეთის კომუნისტური იმპერია საქართველოსთვის აფხაზეთის წართმევას ლამობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან - 1918 წლის 26 მაისიდან. საამისოდ, პირველ რიგში, ის აღვივებდა ენობრივ კონფლიქტს ქართველებსა და აფხაზებს შორის. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსეთი

აქტიურად შეეცადა აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქში არეულობის შექმნას, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური ხელისუფლების გონივრული მოქმედებით, კონფლიქტი თავიდან იქნა აცილებული. რუსეთმა გააცნობიერა, რომ გამსახურდიას კავკასიური პოლიტიკა მას არა მხოლოდ აფხაზეთს, არამედ მთელ კავკასიასაც აკარგვინებდა; შესაბამისად, კრემლმა მალტის შეთანხმებით დასავლეთს დაუთმო აღმოსავლეთ ევროპა ბალტიისპირეთის ჩათვლით და უფლება მოიპოვა, ეკონტროლებინა უკრაინა, მოლდოვა, კავკასია და შუა აზია.

დასავლეთის წაყრუების ფონზე რუსეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ საქართველოში არსებული კრიმინალური ძალების გამოყენებით დაამხო კანონიერი ხელისუფლება და აქ დასვა შევარდნაძის საოკუპაციო ადმინისტრაცია. ამის შემდეგ, კრემლის მარიონეტებმა - ე.შევარდნაძემ, ვ.არძინბამ, ტ.კულუმბეგოვმა და სხვ. შეთანხმებულად დაიწყეს სისხლიანი კონფლიქტი, რომელმაც გაანადგურა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (აფხაზებიც, ოსებიცა და ქართველებიც). 3 . დღეს ვის აძლევს ხელს სამოქალაქო ომად მოინათლოს 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა? ყველასთვის ნათელია, რომ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორი იყო რუსეთის მაშინდელი ხელისუფლება. ამის მიუხედავად, საქართველოში დღემდე არის მცდელობა, 1991-93 წლების მოვლენები შეფასდეს სამოქალაქო ომად. როგორც არასოდეს, სწორედ დღესაა აუცილებელი, ითქვას სიმართლე კანონიერი ხელისუფლების დამხობის მთავარი მიზეზის შესახებ: ზვიად გამსახურდია, აბულფაზ ელჩიბეი და ჯოხარ დუდაევი რუსებმა ფიზიკურად მოკლეს იმიტომ, რომ ეს სამი კავკასიელი პრეზიდენტი ბოლოს უღებდა რუსეთის იმპერიის ყოფნას კავკასიაში.

ე.ი. საქართველოს 1991-93 წლების მოვლენები იყო გარეშე ძალების მიერ განხორციელებული კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება - საქართველოს რესპუბლიკის ხელახალი ანექსია და არა სამოქალაქო ომი. ფაქტია ისიც, რომ პუტჩის შემდეგ წლების მანძილზე დევნილობაში ფუნქციონირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლებაც და აფხაზეთის ავტონომიის კანონიერი ხელისუფლებაც...

შესაბამისად, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც 1991-93 წლების პუტჩს სამოქალაქო ომს უწოდებს, დღესაც გააზრებულად ცდილობს, დამალოს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტი და იმპერიის როლი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის პროცესში. ...არადა, სწორედ ამ ფაქტის აღიარება შეიძლება გახდეს აფხაზეთსა და ცხინვალში ქართველთა დაბრუნებისა და ამ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების რეალური საფუძველი.

იმპერიის წინააღმდეგ, ასევე, ძალაუფლების მიმტაცებელ კრიმინალებთან ბრძოლის სამართლებრივი ბაზა და ზნეობრივი გზა არის დევნილი ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის გაგრძელება საყოველთაო არჩევნებით.

იმედი მაქვს, დღეს თუ არა ხვალ, საქართველო შეძლებს 1991-93 წლების პუტჩის სამართლებრივ შეფასებას, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ობიექტურ გამოძიებას, კოლხური კოშკის იდეალების აღორძინებას და დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ფაქტობრივ ამოქმედებას.

სწორედ დევნილი კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობითი ბაზის გამოყენებითაა შესაძლებელი აფხაზეთის (და საქართველოს სხვა რთული) პრობლემის მოგვარება, ნორმალური სახელმწიფოს აშენება და ევროპაში აპრობირებული დემოკრატიული ენობრივი პოლიტიკის განხორციელება საქართველოში...

დასკვნის ნაცვლად

“ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენცია“ და “უმცირესობის ენათა ქარტია“ ხაზგასმით ეწინააღმდეგება ენობრივ/ეთნიკურ დივერსიებს (იხ., მაგ., კონვენციის 21-ე მუხლი და ქარტიის პრეამბულა); საფრთხე ევროპიდან არ მოდის; ევროდოკუმენტებისგან საშიშროება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვემუქრება, სხვადასხვა დროის მიგრანტებს უსაფუძვლოდ თუ მივანიწებთ ავტოქთონი უმცირესობების სტატუსს. ევროპის ქარტიისა და კონვენციის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, ენობრივ უმცირესობად ითვლება ის საზოგადოება, რომელიც ეროვნულ-ეთნიკურად განსხვავდება ძირითადი მოსახლეობისგან და ავტოქთონია, ძველისძველი მკვიდრია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ჩეჩნები, აზერბაიჯანლები, ოსები, სომხები, ბერძნები, რუსები და სხვ. საქართველოში არა ავტოქთონები, არამედ სხვადასხვა დროის მიგრანტები არიან. შესაბამისად, ევროპული ქარტიის დებულებებიდან გამომდინარე, ისინი საქართველოში ვერ ჩაითვლებიან ეროვნულ თუ ეთნიკურ უმცირესობებად. გარდა ამისა, ამ ხალხებს მეზობლად აქვთ ეროვნული სახელმწიფოები: სომხეთი, აზერბაიჯანი, ოსეთი (რა თქმა უნდა, ჩრდილო ოსეთი!), ჩეჩნეთი, რუსეთი, საბერძნეთი... ამჟამად საქართველოში ეროვნული უმცირესობის ყველა უფლება მხოლოდ აფხაზებს უნდა მიენიწოთ, ვინაიდან ქართველობის ახლომონათესავე ამ ხალხს სხვაგან არსად აქვს პერსპექტივა, ჰქონდეს ის უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს ევროსაბჭოს დოკუმენტები.

აქვე აღვნიშნავთ: ჩვენ პატივი უნდა ვცეთ საქართველოში თავისი ნებით მიგრირებულ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ენას, რელიგიას, კულტურას, ტრადიციას; მათ დღემდეც ჰქონდათ და ახლაც აქვთ უფლება დაიფინანსონ გაზეთი, რადიო, ტელევიზია... ილოცონ თავიანთ სამლოცველოებში და ა.შ. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის უცოდინარს ხელისუფლებამ სასამართლოში შეიძლება დაუქირავოს თარჯიმანი; თუმცა, სახელმწიფო ვალდებული არ არის სხვადასხვა დროს საქართველოში თავშეფარებულ ჯგუფებს თავიანთ ენებზე დაუარსოს ბაგა-ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები, აგრეთვე, მათი კომპაქტურად ჩამოსახლების ველში სახელისუფლებო სტრუქტურების საქმისწარმოება დაიწყოს მიგრანტთა ენებზე... ბუნებრივია, კანონის უზენაესობის სრულყოფილად აღდგენის შემდეგ, დიდი მართლმადიდებლური ტრადიციის მქონე საქართველოს სახელმწიფოში, სადაც სახელისუფლებო სადავეებს გააკონტროლებს მიტევების ფილოსოფიით ჩამონაკვთული ქართველური ცნობიერება, უფრო შთამბეჭდავად შეეწყობა ხელი სხვადასხვა დროის მიგრანტთა ინტეგრაციას...